თეორიულად ერისთავის შეცვდა ყოველთვის შესაძლებელი იყო და მეფის ეს უფლება ყოველთვის თეორიაში როდი არსებობდა. ბაგრატ მესამემ "ურჩინი თვალი შეცვადა ღიღებისაგან და აღიღოა მათთვის ღააღინნა ერთგული და მოსწრაფედ მორჩილი ზრდანებისა მისისა". ასევე იქცეოდა ზაგრატ მეოთხე, რომელმაც ქართვის ერისთავობიდან გადააყენა ივანე აზაგასძე, ერთხანს საერისთავო ჩამოართვა ღიპარტიისძეებს.

მეფეებს აწესებდათ "ურჩი" სახდების მიერ ერისთავობის გამკვიდრება, ხორც თავისი პოდიტიკის ერთგულ სახდებს, ფაქტობრივად თვითონვე აქცევდნენ "მემკვიდრეობით" ერისთავობის მფლობელად. მათთვის პრინციპები მნიშვნელობა მაშინ ჰქონდა ერისთავის ცვადებას, თუ იგი "მოსწრაფედ მორჩილი" არ იყო.

მეფეთა ზრდობა ერისთავობის "გამკვიდრებასთან" არ ნიშნავს ზრდობას თვით ამ ინსტიტუტთან, როგორც ზოგჯერ მიაჩნიათ ხორმე. მეფეები "ურჩი" ერისთავებს ეპროდნენ და არა საერთოდ ერისთავობას, არც "გვარეულად ერთგულ" სახდთა მიერ ერისთავობის "გამკვიდრებას" და "შვიდით-შვიდამდე" პურობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სახედმწიფოს მოედი ტერიტორია, სუდ სხვადასხვა იურიდიული რეჟიმის მქონე სამვლობელოების ჩათვებით, საერისთავოს აღმინისტრულურ-ტერიტორიულ ერთეულებში იყო მოქმედი. წყაროებიდან არ ჩანს, რომ მთედს სახედმწიფოში გაფანტუდი სამეფო ღომენები ტერიტორიულად საერისთავო ერთეულების გარეთ იყო განლაგებული. იგივე ითქმის ფორდადური სახდების კერძო მამულებზე. ყველა ეს მამული საერისთავოს შიგნით მდებარეობს. უეჭველია, ერისთავის ხედისუფლების ღამოკიდებულება ამ მამულებისაღმი განსხვავებული უნდა ყოფილიყო.

ტკანშერი არჩიდ "მეფის" ხანას მიაწერს ერისთავებისათვის ძმისწერების მითხვებას, მათთვის მიწების ღანაწილებას. რაც მან საკუთრად ღაიტოვა, "იყო განზოგებით გამონაყოფი ყველა ამათ კევთაგან". ამ ცნობით, არჩიდის ღომენი საერისთავო ტერიტორიებიდან "განზოგებით გამონაყოფი" იყო და ცადკე არ მდებარეობდა. მსგავსი მდგომარეობა ჩანს XIII საუკუნეშიც. ოჩედთა ამბოხის ღროს, კაიანისა და კაეტონის მმართველებმა "მათი მოსაზღვრე მეფის მხარეები აიკავეს". აქედანაც ჩანს, რომ "მეფის მხარეები" "განზოგებით გამონაყოფია" და ცადკე, კომპაქტურად როდია განდაგებული.

სამეფო ღომენები, რომელიც აღნიშნულისამებრ, ტერიტორიულად საერისთავოთა ფარგლებში იყო მოქმედი, ცხადია, ამოღებული იყო ერისთავთა იურისძიებიდან და მას ცადკე მმართველობა ჰყავდა. სამეფო ღომენებზე სამეფო იმუნიტეტი ვრცელდებოდა. რომელის ხედითა მხოდოდ აქანყების ღროს თუ იყო მოსაღობნელი, ღომენების მართვა უმუაღოდ



ექვემდებარებოდა სასახლის ადმინისტრაციას და გამოყოფილ მანდატურულებესის სახელს. ღომენის დაშქარიც გამოყოფილია ერთმანეთ ხელისუფლებისაგან და მათ მსახურულებესი სარდობს. იგივე ითქმის სამეფო ციხე-ქადაქებზე.

ცხადია, განსხვავებული იყო ერისთავის ხელისუფლების ღომკიდებულება ჩვეულებრივ ფეხიადთა, ღიღებულთა და აზნაურთა მამულებისადმი. ასეთი მამულების იმუნიტეტი შეზღუდული იყო ერისთავის იურისძიებით, მისი სასამართლო-ადმინისტრაციული, სამხელო და ფისკალური პრეროგატივებით.

ერისთავი, როგორც საკარო ხედისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი საერისთავოში და უმაღლესი საერო ხედისუფლები, სარდობდა საერისთავოდან გამომავად დაშქარს: "შემდგომად მეფისა, იყუნენ მორჩიდ და თანამოღაშქრე ერისთავთ-ერისთავისა".

შიომღვიმის სამეფო მონასტრის პატივისუმითა და "სვნიდისის" შეწუხების გამო, ქართვის ერისთავმა გრიგორ სურამელმა დაუთმო მღვიმეს გავაზედთა "საციხო სამართადი და საკუმარი". მანვე შეწირა მღვიმეს "კერძი საერისთავო", იმ შემთხვევისათვის თუ მღვიმის "კაცი" ქარძობას ჩაიღენდა და წესით ნაპარევის "შეიღეული" მისთვის უნდა მიეცათ. ცხადია, ამგვარი პრივიდებია ყველას როდი ჰქონდა. ყველა კერძო მამული უაჭვედია ამ მხრივ "შესავარი" იყო ერისთავისაგან, "შევიღეულსაც" იხიდა, "საციხო სამართადსაც" და ბევრ სხვა გადასახდებაც.

უაჭვედია, შედარებით სხვაგვარი იყო ვითარება ერისთავისა და მისი სახლის მამულში, საბაც ერისთავის, როგორც საკარო ხედისუფლების მოხელისა და კერძო ფეოდალის პრეროგატივები ერთმანეთს ემთხვეოდა.

ერისთავი, როგორც ღადგენიდია, განაგებდა "ყოველთა ღიღებულთა და აზნაურთა", მაგრამ ეს ღიღებულები და აზნაურები ერისთავის ვასაღებს როდი წარმარგენდნენ, არამედ მეფისას. ერისთავი იგდა საერისთავოს ადმინისტრაციის და არა ფეოდალური კიბურის სათავეში. მის ვასაღებს წარმოადგენდნენ ისინი, ვინც სააღიღმამულო ურთიერთობით იყვნენ მასთან დაკავშირებული.

ერისთავს, ცხადია, ჰქონდა შემოსავადი საკუთარი სახლის მამულებისაგან, მაგრამ მას ჰქონდა შემოსავადი, როგორც საკარო ხედისუფლების წარმომადგენერ მოხელესაც.

ერისთავის უმთავრეს სარგო ი. ჟავახიშვილმა მიიჩნია სამეფო სიგერთა საიმუნიტეტო ფორმულებში მოხსენიებული "საერისთავო" გადასახადი, რომელიც ხსენებულ ფორმულებში "სახელმწიფო, საციხოსთავო" და სხვა გადასახადებთან ერთად იხსენიება. ჩვენი აზრით, იმუნიტეტით აღჭურვიდი მამულები კანონით განთავისუფლებული უნდა ყოფილიყვნენ ამ გადასახადისაგან, მაგრამ იმუნიტეტის სისუსტისა და შეზღუდულობის გამო, საფიქრებელია, იგი ბევრ "შეუვარ" მამულსაც ედო. ერისთავები ღა

მეუეებიც ხშირად თვითონვე არღვევდნენ უკვე გაცემულ საიმურიტებო პრივიტების თვით ეკრესიის მიმართ და ეს მოუღოძნები არაა ყალბული მამუღებთან დამოკიდებულებაში. "შეუვადი" მამული "უზაზოთ კაცთაგან" ძარე ხშირად ისევ "შესავადი" ხდებოდა.

ერისთავის, როგორც საქართ ხერისუფლების წარმომადგენლის ანაზღაურება, უეჭველია. არ ხდებოდა მხოღოდ "საერისთავო" გადასახადით, "სასამართლო" ნაბჭობით, "ნაპარევის შვიდეულით" და სამსახურებით. საფიქრებელია, რომ იგი გარკვეულ მიწა-აღგიღსაც იღებდა თავისი მოვადეობისა და თანამდებობის აღსასრულებლად, ცენტრალური აპარატის ტიტო მოხედების "სახელო ქვეყნების" მსგავსად, მაგრამ სამწერაოდ, სათანადო მასადა ჰქონ არ ჩანს და რაიმეს გარკვეულად ჟქმა აქ არ შეიძება.

ერისთავი, როგორც "საქვეყნოდ გამრიგე" მოხედე, მმართველობის აღგიღობრივ აპარატს განეკუთვნებოდა, მაგრამ ასეთად განიხილებოდა იგი სამეფოს ცენტრთან, მმართველობის ცენტრალურ აპარატთან მიმართებაში. საკუთრივ საერისთავოს მასტაბით ერისთავს საკუთარი ცენტრალური მმართველობა ჰყავდა, საკუთარი სასახლე და კარი, თავისი "დაბაზის კარსა მყოფი" და "საქვეყნოდ გამრიგე" მოხედები. უეჭველია, ერისთავის, როგორც საქართ ხერისუფლების მოხედისა და როგორც კერძო მემამუღის მოხედებიც განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

დადგენილია, რომ ერისთავს ჰყავდა მწიგნობაროუხუცესი და მოდარეულებესი. ცხადია, მათ ამ მოხედებისადმი დაქვემდებარებული მწიგნობრები და მოღარეები უნდა ჰყოლოდა. სავარაუდებელია ერისთავის ღაცვა და მესაწოდებების მსგავსი კონტინგენტი, რომელსაც ეს უუნჯცა ექვემდებარებოდა. ჩვენ გემოთ ვრცდად შევეხეთ მეფის საწოდს, როგორც სასახლის უწყებას. საწოდი, როგორც კაბინეტი, ღადასტურებულია ერისთავის სასახლეშიც. მართადია, ეს მასადა მოგვიანო ხანისაა, მაგრამ ეს უწყება ერთიანობის ხანის ერისთავის სასახლეშიც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. იგივე უნდა ითქვას საქურტებებე, საჭინიბო-ზარადხანაზე, საღვინებე, სამნეო უწყებაზე. ეს უწყებები ა priori საგვერისხმებელია არა მხოღოდ ერისთავის, არამედ საერთოდ დიდ ფერადოთა დარჩაბ-სასახლეებში. უეჭველია, ერისთავის საქომი რებიდენცია ისეთივე როდე ასრულებდა საერისთავოში. როგორც მეფის სასახლე-დაბაზი მოვდ სახელმწიფოში. განსაკუთრებით დიდი უნდა ყოფილიყო "მეფეთა ადგიღზე" მჭდომი ერისთავის კარის მნიშვნელობა.

სათანადო ადგიღას აღნიშნული გვქონდა, რომ სახელმწიფოს ცენტრალურ მმართველობაში მუდმივად შეტიოდა "აკა-მოხსენებები" საერისთავოებიდან. "თემის აზნაურების", დიღებუღებისა თუ სოციალურად უფრო დაბადი პირების საქმეებზე "მის თემის ერისთავი "მოაცსენებდა" სამეფო სასახლეს. საამისოდ მას ჰყავდა მწიგნობრების შტატი და ასევე "მოწიგნარებიც". რომელთაც მაღემსრბობა-შიკრიკობა ევაღებოდათ.



საერისთავოს არსებობის საფუძველს, როგორც აღვნის მეტყველებას წახმოადგენდა სახელმწიფო ტერიტორია ზე დასახლებული, იურიდიულ სახელმწიფოზე დამკიდებული მოსახლეობით. გარდა ამისა, საერისთავოს ტერიტორიაზე განდაგებული იყო კერძო მამულები საერო და სასულიერო ფეოდალებისა, მეფის ღმენის მიწები, თვით ერისთავის კერძო მამული. ღომენს თავისი აღმინისტრაცია და მმართველობა გააჩნდა და იგი ამოღებული იყო ერისთავის იურისტიკიდან. მისი იურისტიკიდან მნიშვნელოვანწილად ამოღებული იყო საერო და სასულიერო ფეოდალთა კერძო მამულებიც, მაგრამ როგორც აღინიშნა, კერძო ფეოდალთა იმუნიტეტი მაინც შეზღუდული იყო ერისთავის სასამართლო-აღმინისტრაციული და სამხედრო-ფისკალური პრეროგატივებით. უხადი უნდა იყოს, რომ კერძო მამულებს, თუნდაც ერისთავის საქართულებრივი პრეროგატივებით შეზღუდულ, თავისი ადგიღობრივი აღმინისტრაცია გააჩნდათ.

ასე რომ, საერისთავო ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა სხვადასხვა დაქვემდებარების ადგიღობრივი აპარატი.

საერისთავოს, როგორც სამხედრო-აღმინისტრაციული ერთეულის სახელმწიფო მართვის ზიროვს წარმოადგენდა ერისთავის, როგორც საქართ ხედისუფლების წარმომადგენდის ხედებებით, ასევე საქართ საწყისის მატარებელი აპარატი.

სანამ განვიხილავთ ერისთავის ხედებებით საქართ ხდისუფლების მოხედების საკითხს, აუცილებლად მიგვაჩნია შევეხოთ ე.წ. "საერისთავოერისთავოებს".

ოფიციალური აღმინისტრაციული დაყოფით, როგორც ჩანს, არ არსებულა "საერისთავოერისთავო" და არც "ერისთავოერისთავის" თანამდებობა. ეს უკანასკნელი დიდი საერისთავოს, მიღების საერისთავოს გამგებელის, სპასადარ-ერისთავის საპატიო წოდებებებად მოჩანს (შერ. "სამცხის სპასადარი").

დაშა გიორგის ქვათახევისაღმი ზოდებულ სიგერძი აღნიშნულია: "მოვიდა ჩუენთან სუდა ქართვის ერისთავი, ქე ერისთავოერისთავისა ქართვის ერისთავისა რატი სურამედისა". ამ სიგერძიან აშკარად ჩანს, რომ სუდაც და მამამისიც ქართვის ერისთავები არიან და არა ქართვის ერისთავოერისთავები. გარდაცვიდი რატი სურამედი ერისთავოერისთავად იწოდებოდა როგორც დიდი, საპატიო ერისთავი. იმავე ღოკუმენტის მიხევთ, "დაგუაჭერა ღმერთიან, ვისმინეთ ჰაჭაი და მოკუნებაი ერისთავოერისთავისა სუდა ქართვის ერისთავისა". აქაც სუდას ოფიციალურ თანამდებობად დასახლებულია "ქართვის ერისთავობა", ხოლო როგორც ასეთი, ის ერისთავოერისთავად იწოდებოდა.

"ქართვის ერისთავად" იწოდება გრიგორ სურამედი, რომედიც ამავე ტრის არის" "ერისთავოერისთავი გრიგორ ქართვის ერისთავი". მისი შვიდი ზეგაც "ქართვის ერისთავია".

ამდენად, გვაძვს ღოკუმენტური მონაცემები, რომ ერთი და იგივე

პირები არიან "ქართვის ერისთავები" და ამავე ღრუს იწოდებიან ერისთავთერისთავებიად. ცხადია, რომ ქართვი საერისთავო ტრიადის საერისთავთერისთავო. მას ჰყავს ოფიციალური მმართველი "ერისთავი", რომელიც ერისთავთერისთავად იწოდება, როგორც დიდი ერისთავი, დიდი საერისთავოს გამგებელი, მცირე ერისთავო საადადი.

ზემოთაღნიშნული, ცხადია არ შეეხება მხოდოდ ქართვის საერისთავოს. ასეთივე ფორმულა დაბასტურებულია რაჭიდანაც. ნიკოლეშინიძის პარუმის ხატის წარწერაში აღნიშნულია: "ერისთავთერისთავი რაჭის ერისთავი რაჭი". ცხადია, რომ რატის ოფიციალური "კედი" "რაჭის ერისთავობა" და როგორც ასეთი, იგი ერისთავთერისთავად, დიდ ერისთავად იწოდება. ჩანს არც რაჭის საერისთავთერისთავო არსებულა.

ამდენად, "ქართვის ერისთავი", "რაჭის ერისთავი" და სხვა იმდენად არის ოფიციალური მოხედე. რამდენადაც "ერისთავი". ვინაიდან ქართვი, რაჭა, კახეთი და სხვა დიდი საერისთავოებია, რომელშიც მცირე საერისთავოებიც შედიან, მათი მმართველობის ოფიციალურ წოდებულებას, "ერისთავს" სადაც ემატება "ერისთავთერისთავის" წოდებულება. ამის უდავო დაბასტურებაა ფორმულები: "ერისთავთერისთავი და ქართვის ერისთავი"; "ერისთავთერისთავი და რაჭის ერისთავი".

მეფის, დიდი ერისთავისა და ერისთავის ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა ღაშა გიორგის ქვათახევისადმი ბოძებული, ზემოთ ღასახედებული სიგერი.

სუდა ქართვის ერისთავი, რატი სურამედის ძე, "ეაქა" დაშა გიორგის, რათა ამ უკანასკნელს ქართვის სოფელი სუერნეთი შეეწირა ქვათახევის მონასტრისათვის. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, ეკუთვნოდა სურამედთა სახელს. ვის ეკუთვნოდა "ქართვის სოფელი სუერნეთი"? ტერიტორიულად ეს სოფელი ქართვის საერისთავოში შედის. ამასთან, სუდა სურამედის "პაპასა და მამასაც" ჰქონია იგი, როგორც ჩანს "საჭმედად", "სახარჭოდ". ცხადია სუდას მამა-პაპას ეს სოფელი რომ სამყევიროდ და სამამულოდ ჰქონოდათ ბოძებული, მას არ დასჭირდებოდა მეფისათვის "აჭის" მირთმევა ამ სოფელის ქვათახევისათვის შესაწირავად. ამასთან, ჩანს სოფელი სუერნეთი არც მეფის ღომენს მიეკუთვნება. შეუძღვებელია, სუდა ქართვის ერისთავს საკუთარი მონასტრისათვის ღომენის სოფელის, მეფის საკუთრების შეწირვის "აჭის" მირთმევა გაეხედა ღაშა გიორგისათვის. სუერნეთი აღმინისტრაციულადაც არ ჩანს სამეფო ღომენის მმართველობაში.

სოფელი სუერნეთი არც მეფეს და არც სურამედთა სახელს არ ეკუთვნოდა, როგორც კერძო ფეოდალური მამული. ის სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილი იყო და იურიდიულად სახელმწიფოზე, სახელმწიფო აღმინისტრაციაზე იყო დამოკიდებული, ამდენად კი "თავისუფაღი". ქვათახევისათვის შეწირვის შემდეგ, სუერნეთი, ცხადია კერძო მამულად, ხოლ მისი მოსახედება მონასტრის "გდეხებად" იქცნენ.



ეს რომ ასეა, სიგერის სხვა მონაცემებიდანაც მტკიცდება რომ სუერნეთი ტერიტორიულად ქართვის საერისთავოში შემავარი, იმყოფებოდა არა ქართვის ერისთავის, არამედ მისძამი ღაქვემდებარებული საქართვის ერისთავის უშეაღმ იურისძიქუაში. ვინ არის საქართვის ერისთავი?!

ვაჟაშტის მიხედვით, დავანის ხეობაში, "წორჩისს ზეით". "მთასა შინა", "არს ციხე საქართვისა, მაგარი". უკვედია, დაშა გიორგის სიგერის "საქართვის ერისთავი" სწორედ ამ ციხეში იჭრა და მისი "შესავარი" ქვეყნის ერისთავი იყო, ქართვის ერისთავის ხედევეთი "ცოტად ერისთავი". ცხადია, რომ სუერნეთი არც მისი კერძო მამური ყოფილა.

მეფემ "ისმინა" სურამერის "აჭა": "გამოგუიღია (სოფელი, ი.ა.) საქართვის ერისთავისაგან და შეგუიწირავს... ქვათაცევისძა, საღომვე- და და წარსამართებდა მეფობისა ჩუენისად". აშკარაა, რომ დაშა- გიორგიმ სოფელი სუერნეთი ამოიღო საქართვის ერისთავის იურისძიქუ- იღიან. რაც ამ სოფელის უკვე კერძოფეოდადურ საფუძველზე მფლობელი - ქვათახევის მონასტრისათვის საათანადო იმუნიტეტის ბოძებასაც ნიშანავდა. მეფის მიერ ქართვის ერისთავის იურისძიქუიღიან სოფელის ამოღება - ("გამოგუიღია") კარგად ახასიათებს თვით ერისთავის ხედისუფლებას, მის ხასიათს. ასევე თვით იმ სოფელის იურიღიუდ რეუიმსაც, რომედგრე - საუჩარია სიგერში. ცხადია, ამ სოფელის აღმინისტრაცია, სამართვი და გადასახადები საქართვის ერისთავის ხედში იყო.

ამ სიგერით ირკვევა დიდი ერისთავის, ქართვის ერისთავის მმართველობის ქვეშ მყოფი საქართვის ერისთავის არსებობაც. ისიც ცხადად ჩანს, რომ თვით ქართვის ერისთავს არა აქვს უფრეშა საქართვის ერისთავის იურისძიქუიღიან "გამოიღოს" სოფელი. სახელმწიფო ტერიტორიის შეწირვა, ე.ი. მისი კერძო მამურად, ფეოდალურ საკუთრებად გადაქცევა, სახელმწიფო აღმინისტრაციიდან ამოღება, "შეუვარად" ქსევა, მეფის პრეონგატივას შეადგენს, რომედიც მას სახელმწიფო უზენაესობის უფლებით ახორციელებს.

საქართვის ერისთავის მსგაუს, მცირე ერისთავებად ჩანან პატარა ინის წარწერებიდან კახა ერისთავი, რგანის წარწერიდან აზენასრ ერისთავი, "კრუჭის ერისთავი". ამგვარი ვითარება საგუდვებელია ყველა დიდ საერისთავოში.

სამხედრო-აღმინისტრაციული ერთეულის, საერისთავოს მმართველი ერისთავის შემძებ, უმაღლეს მოხედედ "გამგებელი" ჩანს. ეს თანამდებობის პირი დამწმებულია გიორგი V ბრწყინვალის "ძეგლისძების" მიხედვით, მაგრამ ცხადია, არა გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ ეს კერძო შემთხვევაა და "გამგებელი" სხვა საერისთავოებში არ იყო.

საფიქრებელია, რომ "ძეგლისძებაში" "გამგებელად" წოდებული მოხედე, ბოგ სხვა წყაროში "ნაცვადის" სახელწოდებით უნდა იხსენიებოდეს.



ტერმინი „ნაცვარი“ ძაღლების გავრცელებულია სურ სხვადასხვანი მდგრამარეობისა და თანამდებობის პირის აღსანიშნავად. „ნაცვარი“ ჰყავდა მეტერტეფუხუცესს. ყველა ღიღი მოხედის „მოაღიღე (ამირახორი, ამირეჭიბი, მესაწოდეოუხუცესი) ფაქტობრივად „ნაცვარია“. „ნაცვარი“ ჰყავდათ მცირე მოხედებსაც. ასეთად ჩანს სეტის მთავარანგერობის ხატის წარწერაში მოხსენიებული აბარმაღი იონა და ნაცვარი მიქედაჭურა. ცხადია, ჭერა აბარმაღი იონას „ნაცვარია“. ამ თანამდებობის გასახედებას ვხვედებით სამეფო სიგედებშიც, თუმცა არ ჩანს, კონკრეტულად ვისი „ნაცვები“ ორიან ისინი.

ერისთავის „ნაცვარი“ („გამგებელებე“) უნდა იყოს საუბარი სხვა-ვის კვრის წარწერაში, საღაუ ერთი მხრივ მოიხსენიება რაჭის ერისთავი რაჭი და მისი ძე კახაბერი, აზნაური, მოუევენი და კევნი, ხორ იქვე აღნიშვნედია: „ქ. წმინდათ გამგებელ მთავარანგერობო, შეიწყარე ვახტანგის... ის ძე, მოიჭედა მისსა ნაცვლბასა შიგან...“ საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ერისთავის წარწერაში, მრს შემდეგ მოხსენიებული ვახტანგი, რომის „ნაცვლბასა შიგან“ მოქედიღია ჭვარი, სწორედ ერისთავის „ნაცვარია“.

ერისთავის „ნაცვლის“, „გამგებელის“ ინსტიტუტი, შინაარსობრივად ძაღლე ახდოა გასავევეოვროპერ გრაფის ვიკარისთან, ვიცე-გრაფთან. ჩვენს ხედი არსებული მასაღის მიხედვით, „ნაცვარი“—„გამგებელი“, მართლაც „ვიცე-ერისთავის“ ფუნქციებით აღჭურვილა გვევრინება.

საერისთავოს აღმინისტრაციულ სტრუქტურაში თვალსაჩინოა „ციხისთავთა“ როდი, რომებისთვისაც ცალკე გაღასახადი „საკიხისთავთა“ დაწესებული. გადასტურებულა „სამსახურებელი ციხეთავ“.

საერისთავობის ძირითად ბირთვს, მათ უმთავრეს შემაღენედ აღმინისტრაციულ ერთეულს, როგორც ჩანს, კევი შეაღენდა, წყაროებში დაბასტურებულია „ქოჩედ ვევისუფაღი“; „ცხრაზმისხევის კევისუფაღი ბერი და გიორგი“, „ღიღმორის ვევისუფაღი“; „ვევისუფაღი მანიდა“ და სხვ. ეს მასაღა X საუკუნისაა. ჩვენთვის საინტერესო პერიოდისათვის დაბასტურებულია „სავევისუფაღო გადასახადი“, რომელიც უკვერია, საჭარბებულის გადასახადი. ტერმინი „ვევი“, როგორც ჩანს, სინონიმია „თემისა“, ხორ „ვევის აზნაური“ იგივეა რაც „მეთემე აზნაური“. საფიქრებელია, რომ მოხევე-აზნაურები სწორედ იმ „ვევებში“ („თემებში“) საქმიონენ, რომის „მოუევე-მეთემებიც“ ისინი იყვნენ.

„ვევის“ აღმინისტრაციულ მართვას „ვევისუფაღი“, „ვევისთავი“ აწარმოებდა. მთღად გარკვეულად არ შეიძლება ჩაითვაროს, იყო თუ არა რაიმე განსხვავება „ვევისუფაღსა“ და „ვევისთავს“ შორის. უფრო საფიქრებელია, რომ ეს ტერმინები ერთსა და იმავე შინაარს გამოხატავდნენ. იგივე უნდა იყოს „ვევისბერიც“. ყოველ შემთხვევაში ამ ტერმინების სემანტიკა არ იძღვვა იმის საფუძველს, რომ ისინი მაინცდამაინც ერთმანეთს დავაყიდოთ.

საერისთავოს სტრუქტურის თვალისაგრისით, ჩვენს ყურადღებას იპყრობები, საღაც "ასისთავია" დასახელებული.

XI საუკუნეში დამოწმებული გვაქვს "ასისთავობა", როგორც აღმინისტრაციული ხედისუფლება, რომელიც თავისთავად გუდისხმობს აღმინისტრაციულ ერთეულს—"ასეუდს".

"ასეუდთან" და "ასისთავობასთან" დაკავშირებით, შეუძღვებელია არ გავიხსენოთ ჭუანშერის უნიბა: "მაშინ ვითარ იქმნა ვახტანგ (გორგასაღი, ი.ა.) წერისა თხუმეტისა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართვისათ... განმზადა მეფემან სახლი ერთი და დაჭდა საყდართა ზედა მაღაღთა, ხორო ჭუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი დასხედს საყდართავე, და სხუანი ყოველი ერისთავნი დასხედს სეღებითა, და ათასისთავნი და ასისთავნი და ყოველი ერი წარმოდგეს ზე".

ამ ცნობის მიხედვით, აღმინისტრაციული სტრუქტურა ასეთია: სპასპეტი (ერისთავთა მთავარი, ერისთავოთერისთავი) - ერისთავი-ათასისთავი - ასისთავი.

ნიშანდობდივია, რომ "ათასისთავის" დენტი მროვედიც ასახედებს. "ათასისთავის" ინსტიტუტს უდარებენ "ჰაზარაპეტების", "ხიდიარხების".

აღსანიშავია, რომ "ასისთავი" და "ასეუდი" დასავდეოვორპული საგრაფოს სტრუქტურის შემადგენელი ნაწილიც იყო. "ასეუდის" სათავეში იდგა სამხედრო-აღმინისტრაციული მოხედე "ასისთავი", რომელიც, თავის მცირე ერთეულში აღჭურვილი იყო სასამართლო-აღმინისტრაციული და უისკა-დური ფუნქციებით. "ასეუდი" საგრაფოს უმცირეს უკრებს წარმოადგენდა.

ჭანუშერსა და დეონტი მროვედს, საფიქრებელია, გარკვეული წყაროები გააჩნდათ, როდესაც ესოდენ დამორებელი ეპიქების აღმინისტრაციული სტრუქტურის შესახებ წერდნენ, მაგრამ საფიქრებელია, რომ თვით მათი ახლო ხანის სტრუქტურა ზევრად შორს არ უნდა მდგარიყო ზემოაღნიშნულისაგან.

რაც შეეხება "ათასისთავს" და "საათასისთავოს", ეს ინსტიტუტი აღარაა დამოწმებული XI-XIII საუკუნეთა მასაღაში. გამორიცხული არაა, რომ მრავალიცხოვანი ერისთავები და "უოტაჟ ერისთავები" სწორედ მათი მემკვიდრეობი იყვნენ.

"ასისთავისა" და აღმინისტრაციული ერთეულის, "ასეუდის" თვალისაგრისით ყურადღებას იპყრობს მეგრუები ღლესაც უყვარდი ტერმინი "საოშო". "საოშო" სიტყვასიტყვით "საასოს" ნიშნავს და უეპვედად "ასიდან" ("ოში") მომდინარეობს. ტერმინ "თურისაგან" განსხვავებით, რომელიც ნათესაური მომენტია ხაგბასმუღი, "საოშო" მეტობდური. ტერიტორიული სიახლოვე-ეროვნის აღმინშვნელი სიტყვაა. ამ ტერმინით უახლოესი სამეტობლო აღინიშნება. ღლესაც ჩვეულებრივია გამოთქმები: "ჩვენი "საოშოს" კაცი"; "თავის მოგვეჭრა "საოშოში"; "გვასახედა საოშოში" და სხვა. ეს ტერმინოღოგია უმჯიდროეს კავშირში ჩანს უმცირეს აღმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთან, "ასეუდთან" და მისი არსებობის დაღასტურებას წარმოადგენს სამეგრელოშიც.

არ არის გამორიცხული, რომ "კევები", თავის მხრივ სწორების უკავშირის ასეუდებად" იყოფლენენ ჩვენთვის საინტერესო ხანაშიც.

ყოველივე გემოთქმულის საფუძველზე, საერისთავოს შინაგანი სტრუქტურის რეკონსტრუქციას თუ შევეცხმით, ვფიქრობთ შემდეგ სურათს მივიღებთ: ერისთავი - ნაცვადი (გამგებელი) - ციხისმამართი - კევისუფადი (კევისთავი, კევისბერი) - ასისთავი. თავის მხრივ ეს აღმინისტრაციულ ერთეული დიდი ერისთავის, სპასადარის საგანმდებროში იგუდისხმება, ხორ ეს უკანასკნელი ამირსპასადარს ემორჩიდებიან.

უკვევერია, ერისთავს და მის საჭარ ხედისუფლების აპარატს ეკვემდებარებოდნენ მრავალრიცხოვანი ფისკალური მოხედები, რომელიც ხშირად იხსენიებიან სამეფო სიგერების სამუშნიტეტო ფორმების. ასეთებად ჩანან "მოხარჯენი", "მესაბანჯრენი", "გზირები" ("შერტები") და სხვა "ჩინებული", რომელთა ფუნქციას "დაჭირვებითი სამსახურის", სამუშაოს, სუბრას, ზაფის იძუღება და აღება შეაგენდა. სწორედ ამ "მაწყინარებს", "მენუკარებს", "დაჭირვებითი სამსახურის მქნედებს" იხსენიებს დავითის ისტორიკოსი "მოსაკარგავე მაჭირვებლების" გოგადი სახელით. ამგვარივე სახელწოდებისა და ფუნქციების მოხედე-პერონსები, უკვევერია, სამეფო ღომენსაც და კერძოფერადურ მამუდებსაც ემსახურებოდნენ. ცხადია, მათი დაქვემდებარება სხვადასხვა იყო.

ასეთი იყო არსებული მასადის მიხედვით, საერისთავოს სახელმწიფოებრივ-აღმინისტრაციული სტრუქტურა და აპარატი.

ერისთავს, როგორც კერძო მემამუდეს, ფეოდალს, ცხადია, ჰყავდა სხვა სამოხედეო აპარატიც. რომელის მეშვეობითაც იგი თავის მამუდებს მართავდა. ამგვარ მოხედედ, გრიგორ სურამედის დაწერიდის მიხედვით, ჩანს მამასახლისი, რომელის კონტრაგენტი მიომღვიმელის მოხედე-ხელისუფადია. იგივე მოხედე უნდა იხსენიებოდეს "ყმათა მოურავად".

ვინაიდან ერისთავის საჭარ და კერძო ფუნქციები შერეული იყო, უკვევერია იგი ხშირად იყენებდა თავისი კერძო საქმისათვის სახელმწიფო აპარატს, ხორ საჭარ ხედისუფლების გადასაწყვეტი საქმისათვის კერძო სამოხედეო აპარატს. საჭარ და კერძო სატყისების ამგვარი დიფენზია დამახასიათებელია ფეოდალური ხანისათვის და ოვით სამეფო ხედისუფლებისათვის.

მამასახლისი, როგორც ერისთავის სახლის კერძო მოხედე, ჩანს კორიდორის სახარების ერთი მინაწერიდანაც, ოღონდ მას იქ ტანუტერი ეწოდება. უფრო სწორედ მინაწერში "სატანუტრო დრამაა" მოხსენიებული. ნიშანდობდივია, რომ მამასახლისი-ტანუტერი კათაღიკოსაც ჰყავს და მეფესაც.

ჩვენთვის საინტერესო ხანაში დამოწმებული "მონაპირე" ერისთავი.

მკვდევართა ერთ ნაწილს მიჩნია, რომ "მონაპირე" ერისთავის ინსტიტუტი თამარ მეფის მიერ არის შემოღებული. მას უკავშირებენ

ქვეყნის ტერიტორიის ზრდას XII საუკუნეში, მეტობედ ქვეყნებთან მუდმივ /  
საომარ მოქმედებისათვის მთავროვნის საჭიროებას.

ტერმინი "მონაპირე", საზღვრისპირა ერისთავს მიემართებოდა და  
იგივე იყო, რაც "მარჩპანი".

ტერმინი "მარჩპანი" იხსენიება 1022 წელს ვანანა-ვანქის ქართულ  
წარწერაში. ამგვარი მოხსენება უაღრესად მრავალისმეტყველია.  
ქართულენოვანი საზოგადოებისათვის იგი ნაცნობი და გასაგები ჩანს.  
აშკარაა, რომ ეს "მარჩპანი" მონაპირეა.

უკავედად "მონაპირის", "მარკეგრაფის" შინაარსს შეიცავდა ქართვის  
მარჩპანიც. ქართვისათვის ის სპარსეთის მოხედე იყო, ხოლო თვით  
მეტროპოლიტისათვის, სპარსეთისათვის კი "მონაპირე", საზღვრისპირა  
მოხედე.

აშკარაა, რომ "მონაპირე" ერისთავის ინსტიტუტი არც თამარის ძროს  
ჩამოყადიბებულა და იგი დავით აღმაშენებლამდეც არსებობდა. 1053 წელს  
ერთ მინაწერში იხსენიება მარჩპან ზოურ ჰაყედის ძე არსენ ეპისკოპოსი.

III კაცის მამა, რომელიც 1053 წელს ეპისკოპოსი იყო, XI  
საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა და "მარჩპანობდა".

ქართულ სახელმწიფოს საგლვარი, "ნაპირი", დავით აღმაშენებლამდეც  
ჰექტარი და თამარამდეც. უერთედია ამ საზღვრებს იყავდნენ კიდეც და  
საამისოდ მარჩპან-მონაპირის ინსტიტუტიც არსებობდა. ყოველ  
შემთხვევაში, ეს ინსტიტუტი XI საუკუნის I ნახევრისათვის უკვე  
ღიაკუმენტურად გვაქვს დაღასტურებული. ამ ინსტიტუტის შექმნის  
დაკავშირება დავითის ან თამარის სახელთან არ ჩანს შესაძლე-  
ბელი.

სხვა საკითხია ის, რომ დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის შედებად  
ქვეყნის საზღვრები გაფართოვდა, ახალი "სამარჩპანო-სანაპიროები"  
შეიქმნა. ასეთივე პოლიტიკა გრძელდებოდა თამარის ძროსაც: დავითისა და  
თამარის მეფობაში იცვლებოდა თვით საზღვარი, "ნაპირი", ხოლო  
"მონაპირე" ანუ "მარჩპანი" აღრევე არსებობდა.

ამდენად, დავით აღმაშენებელთან და თამართან დაკავშირებით  
შეგვიძლია ვისაუბროთ ახალი "სანაპირი" საერისთავოების შექმნაზე და  
არა "მონაპირე" ერისთავის ინსტიტუტის ჩამოყადიბებაზე.

## 2. სამეფო განვითარების ადგილობრივი მმართველობა

სამეფო დომენი სახელმწიფო ტერიტორიის ის ნაწილი იყო, რომელიც  
ეკუთვნოდა სამეფო სახელს, როგორც ფეოდალურ მესაკუთრეს სამართლის  
კერძო საწყისის მიხედვით. დომენში ერთმანეთს ემთხვეოდა მეფის  
საჭაროუფლებრივი და კერძოუფლებრივი პრეობრატივები.



XI-XIII საუკუნეების საქართველოს სამეფო ღომენი ("საქართველოს ქუფანა", "სამეფო", "სახასო") არ წარმოადგენდა პირადად გმირული საკუთრებას, იგი სამეფო სახელის საერთო საკუთრება უნდა ყოფილიყო.

სამეფო სახელის ღომენი, როგორც ფეოდალური საკუთრება, ცხადია ემორჩიდებოდა მართვის გარკვეულ რეჟიმს და მას თავისი თრგანიზაციული სტრუქტურაც გააჩნდა. სამეფო ღომენში, უეჭველია გამოყოფილი იყო საკუთრივ მეფის მამური, საუფლისწულო და მომზევნო ხანის ანაღოგიებით თუ ვიმსტერებთ, "საღეოლულოც".

XI-XIII საუკუნეების მასაღების მიხედვით საშუალება გვაქვს ვიმსტერებთ მეფის მამურების მართველობის მხოლოდ ზოგიერთ საკითხში.

სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობის აპარატში, როგორც სათანადო ადგიდას იყო აღნიშნული, სამეფო ღომენის მართვას ახორციელებდა მანდატურობულების სახელი "საგანმგეო" უწყება. სამეფო კარის "საგანმგეოს მურავნი" განმგეობულებეს-ეზოსმოძღვრის მეთაურობით და ადგიობრივი აპარატის მეშვეობით აწესრიგებრნენ სამეფო სახელის კერძო მამურებსა და მეურნეობას.

სამეფო ღომენის ადგიობრივი მმართველობის პრობრემასთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ოპიტართა და მიკნაძორებთა სამამურე დავასთან დაკავშირებული ცნობიდი სიგერი. ღოკუმენტში აღნიშნულია: "რათამცა ოპიტარნიცა გუდსავსე ვყვენ, საღლცვედად სურისა ჩემისა, თავსავე ჩემსა დავათმინე: ავიღე სამამასახელისოისა სამსახურებისა ჩუენისგან ბარევანი სოფერი და მივეც ოპიტართა სატრაპეზოდ". იმავე სიგერში ბაგრატ IV აღნიშნავს: "აწ ვინცა პნახოთ ბრძანებაი და სიგერი ესე ჩუენი: შემდგომთა ჩუენთა მომავართა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, ტაოისა და კდარჭეოთისა ტანუტერთა და ყოველთა კედისუფადთა... დაუმტკიცეთ".

"სამამასახელისო სამსახურებით" აღნიშნულია მიწის ის ნაკვეთი, რომელიც ეძღვა მეფის აღმინისტრაციის წარმომადგენერს სამსახურისათვის.

"ტაოსა და კდარჭეოთის ტანუტები", რომებიც ერისთავთერისთავების და ერისთავების შემდეგ არიან აღნიშნული სამეფო სიგერში, წარმოადგენდნენ სამეფო ღომენის მოხედებს, ხოლო "სამამასახელისო", ანუ "სატანუტერო" სამსახურებელი კი ამ მოხედეთა სამსახურის სამუქფო მიწასა და სამსახურს. ამავე სახელწოდების მოხედები კათაღიკოსსაც ჰყავდა და ერისთავებსაც.

ნიკოლოზ კათაღიკოსის არვანჩეგ საჩაისძისაღმი უიცემუდ წყადობის დაწერილში (1281-1282 წწ.) აღნიშნულია: "ყოველთა წერიწადთა დიდსა ხუთშაბათს ესე იყი დიტრაი ცვიდი ჩუენს ტანუტერს სახელბანს მოცემოდეს და მოეთვადვოდეს". ნიშანდობდივია, რომ ციტირებული

**"გაწერილი"** შეეხება კდარტეთს, სადაც ზაგრატ IV-ის გემომოქანილი სიგერის გაცემიდან ორი საუკუნის შემდეგაც, კათაღიკოსს "ტანუტერი" ჟყავს, რომელიც საკათაღიკოსო მეურნეობას უძღვება.

ერისთავთერისთავის ტანუტერი გამოწმებულია კორიდეთის სახარების ერთ მინაწერში: "...მე ზეშქენ ჩემისა სძინასა ხეაშაქისა ხოვიშნითა გაუშვი კორიდედთ ხუცესთა სატანუტროი ღრამაი..." "სატანუტრო ღრამა" ერისთავის მოხედის, ტანუტერის სასარგებლოდ იკრიფებოდა და სწორედ ეს "გაუშვია" ზეშქენს კორიდები ხუცესებისათვის. მეფის "ტანუტერის" სარგოს ერისთავი ვერ" ახდიდა" კორიდებებს.

ზეშქენ ერისთავთერისთავის "ტანუტერის" ზაგაღია გრიგორ ქართველის ერისთავის "მამასახედისი".

"ტანუტერთან", ანუ "მამასახედისთან" გაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ზაგრატ IV-ის თანამედროვის მირიან თარხუნის ძის წარწერა ატენიდან, სადაც იგი "ტანუტერად" იხსენიება. იგივე მირიან თარხუნის ძე ვერეს წარწერის მიხედვით "ერისთავია". ამ ფაქტმა ზოგიერთ მკვედვარს საშუალება მისცა ემტკიცებინა, თითქოს ტანუტერი იგივე იყოს, რაც ერისთავი. ეს აზრი ძაღლები საეჭვოა სიმართვეს შეეფერებოდეს. ტანუტერი სემანტიკურად გამორჩეულია ერისთავს. ამასთან, ერთი საკარი ხედისუფლების მოხედება, ხოდო მეორე კი მეფის, კათაღიკოსის, ერისთავთერისთავის მამულების გამგებდად ჩანს. ტანუტერი მირიან თარხუნის ძე სამეფო ღომენის განმგებელი მოხედე უნდა ყოფილიყო. ერთი და იგივე პირის, ატენის წარწერაში "ტანუტერად", ხოდო ვერეს წარწერაში "ერისთავად" მოხსენიება ნათედს ხდის. რომ აქ მის ორ სხვდასხვა თანამდებობაზეა საუჩარი, რომელიც მას შეიძეგა ერთდროულად ჰქონდა. შესაძებელია ისიც, რომ ატენისა და ვერეს წარწერებში მირიან თარხუნის ძის მოღვაწეობის ორი სხვადასხვა ჰქონდი აისახა.

ამდენად, სამეფო ღომენის გამგებდად ჩანან მამასახედისქი, ანუ ტანუტერები, რომელიც გარკვეული "სამამასახედისო სამსახურებრით" ნაზღაურდებიან თავისი სამოხედეო თანამდებობისათვის. ეს ტერმინი გადასტურებულია ტაო-კდარტეთსა და ატენის ხეობაში, კორიდეთის სახარების მინაწერებში.

სამეფო ღომენის მმართველი მოხედების სახელწოდებად ჩანს დავით აღმაშენებლის 1123 წელს ანდერძში დასახელებული "მუხრანისა მგენი". როგორც "საგანმგეო" უწყებაზე საუბრისას იქნა გარკვეული, "მგე" ანუ "გამგე" იგივეა, რაც ეპიტროპსი, იკონომოსი, აჩარქადი. სასახელის "საგანმგეოს". განმგეთუხუცეს-ეგიოსმოძღვარს ადგიდობრივი "მგენი", "აბარმდები", "ტანუტერ-მამასახედისები" ემორჩიდებოდნენ.

სამეფო ღომენის მოხედება, საკუთრივ "აბარმდები" არის დადასტურებული. თამარ მეფის გედათისაღმი ბოძებულ სიგერძი "აჭამეთის

აბარმაღებია” მოხსენიებული, რომებიც ფუნქციების მიხედვით სპეციალურად უდგებიან “მუხრანის მგეებს”. აბარმაღები ისევე როგორც ტანუტე-რები, ეკლესიასაც ჰყავდა და ითვევდია, ერისთავებსა და წარჩინებულებსაც.

სამეფო ღომენის ადგიღობრივი მოხედები-ტანუტერები, მგეები და აბარმაღები, საფიქრებებია ერთი და იგივე ფუნქციას, სამეფო სახდის მეურნეობის მართვის ფუნქციას ახორციელებდნენ. რაც შეეხება ტერმინოღოგიურ განსხვავებას, ეს რეგიონაღურ თავისებურებად მოჩანს. ნიშანდობდივია, რომ დასავდეთ საქართველოში “აბარმაღი” გვიანაც გვხვდება. კოტრიძეთა სასისხლო სიგერძი დასახელებელია: “ქართველის მოურავთა და ყოველთა აბარმაღთა”. იგივე თანამდებობა “აზრაამატი”-ს ფორმით დამოწმებულია გერათის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ გაცემურ ღოკუმენტში.

გამრიგე-განმგები, აბარმაღები, იგივე ეპიტროპოსები, იკონომოსები მცირე მასშტაბში იმეორებდნენ სასახლის “საგანმგეოს” მოხედების საქმიანობას, სამეურნეო ხასიათის “გასარიგებელს”.

არსებული მასაღის მიხედვით, სამეფო ღომენის მართვისა და მეურნეობის ადგიღობრივი სტრუქტურა სამეფო “საგვომებთან”, “საგამთრო”, “საგაფხულო”, “სათამაშო” სასახლე-სახლებთან იყო დაკავშირებული. მეფე, თავისი კარით, სებონის მიხედვით გადაღილია ერთი სასახლიდან მეორეში. ბუნებრივია, მეფის კარის შენახვა იმ სასახლის მეურნეობას აწვა, სადაც მეფე იმყოფებოდა. სასახლეთა ამგვარი სტრუქტურა ჩანს მოგვიანებითაც.

• თითოეული სამეფო მამუდი მსხვიდ სამეურნეო კომიტეტს წარმოადგენდა. ასეთი მამუდები მიწერიდი იყვნენ ყადაგეუდ სასახლეებსა და სამეფო ციხეებზე. მეურნეობის პროცესტები, სამეფო მამუდის შემოსავადი ციხე-სასახლეებში იყრიდა თავს. მოგვიანო ხანის ტერმინოღოგია რომ ვიხმარო, სამეფო მამუდები “სასახლის მიმღვამი” იყვნენ, მასში “შემავაძს” წარმოადგენდნენ.

ასეთად ჩანან, მაგარითად მუხრანისა და აჯამეთის სამეფო მამუდები.

6. ბერძენიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მისქითა მუხრანის სამეფო მამუდს, რომედსაც დავით IV აღმაშენებდის ღროიდან “მუხრანის მგენი” მართავდნენ. ყურადღება გამახვიდდა იმ ფაქტზე, რომ დემეტრე I “აშენებს მუხრანს” და საამისოდ შიომღვიმის სოფელისათვისაც დაუდვიათ “თუის თავსა ერთსა დღესა სამუშაო”.

დავით IV აღმაშენებდმა ხოდაბუნი შესწირა მუხრანში შიომღვიმის დავრას. ცხადია, მას სხვა ხოდაბუნებიც გააჩნდა იმავე მუხრანაში. მუხრანის ციხისთავები, საგანმგეოს მოურავები და “მეგზ-

როხეები” საქმიანობენ მუხრანის სამეფო მამუდში ღაშა მეფობაშიც.

უაღრესად საყურადღებოა მონაცემები აჭამეთის სამეფო მამუდის შესახებ. თამარის გეღათისადმი ბოძებუღი სიგეღის მიხევით, მას “აჭამეთის აბარმაღები”, ანუ იკონომისები, “მოურნენი”, “გამრიგენი” ხედმძღვანელობდნენ. ამავე მამუდთან ჩანან დაკავშირებუღი “ტყისმცველოუხუცესნი” და “გოგნის ციხისა ციხისთავნი”. \*

“ტყისმცველოუხუცესნი” და მისი ხედვეითი “ტყისმცველი” როგორც ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მასაღიდან ჩანს, ცაღ-ცაღკე ჰყავდა ყველა სამეფო ტყესა და ნაკრძალს. ასე ჩანს ეს თამარის გეღათისადმი ბოძებუღი სიგეღიდან და ასევე დავით ნარინის კეფინისხევედებისა და წაქვეღებისადმი ბოძებუღი სიგეღიდან, რომედშიც “მის ტყისა მცველოუხუცესი და ტყისმცველი” იხსენიებიან.

მოხსენების თანმიმდევრობის მიხედვით საფიქრებედია, რომ “აჭამეთის აბარმაღებს” ექვემდებარებოდნენ სამეფო ნაკრძალის “ტყისმცველოუხუცესნი”. ეს არაა გასაოცარი, ვინაიდან აჭამეთის მამუდში, უეპვეღია, სანაღირო საქმეს და ტყის დაცვას უპირატესი ადგიღი ეჭირა მეურნეობაში.

სამეფო ნაღირობას, მეფის მონაღირებს, ნაღირობის რეგარიას და ნაღირობის გამგებელობას სათანადო აღიღი ეჭირა. ჩვენ ეს საკითხი სამეფო ღომენთან დაკავშირებით გვაინტერესებს. ნაღირობის უფეხა მამუდის ცნების შემაგენერდი ნაწილი იყო. უაღრესად საინტერესო მასაღას იძღვა ამ მხრივ დასავდეოვროპუღი შუასაუკუნეებრივი სინამდვიღე. ნაღირობის რეგარია, როგორც სამეფო იმუნიტეტის ერთ-ერთი კომპონენტი, ცხადია, ძაღლე მკაცრად უნდა ყოფილიყო დაცუღი. სწორედ, ეს შეადგენდა “ტყისმცველოუხუცესთა” და “ტყისმცველთა” პირდაპირ მოვაღეობასაც.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეფო ღომენის ტყებში ნაღირობის რეგარიის ხედყოფა უმძიმეს დანაშაულად ითვდებოდა საქართველოში და ამ უფეხის გამო ბშირ უნდა ყოფილიყო სისხდისმღვრები დავაც კი. ასეთი ეპიზოდია აღწერიღი ვეფხისტყაოსანში”, კერძოდ კი ფრიდონისა და მისი ბიძაშვილების სისხდიანი შეტაცება. ამ კონფიდენციის მიზეზი ურიღონის ოქმით ყოფილა ის, რომ “სანაღიროს არ მივსცემდი” და “მომერჩოდეს” ჩემი ბიძაშვილებით. ცხადია, აქ ნაღირობის სამეფო რეგარიაზეა საუბარი.

მანეედ ნიკორწმინდეღის 1548 წლის “დაწერიღში” აღნიშნუღია ნიკორწმინდის ეპარქიის პრივილეგიები და მათ შორის შემდეგი: “თუ ვისმეს შერისხავს ღმერთი და ციღება იკადროს, ან ნაღირობა, ტყის ჭრა, ან ქვს თღა, ან თევზაობაზ ან თიბა ნიკორწმინდის უდასტუროდ, ხედმწიფეთა ბრძანება არის და განაჩენი, პეღის მოკვეთით განი-

პატიურს. თუ კედის მოკუეთას არჩიეს, ოცი ათასი თეთრი განსაზღვრული ვოს".

როგორც ვხედავთ, ნიკორწმინდის პრივიდეგიების, მათ შორის წარმოშენების და ტყის საკუთრების დამრღვევთ "კედის მოკუეთით განპატიურა" ემუქრებოდათ, უკეთს შემოზვევაში დიდი ფუძადი ჭარიმით მისი შესვერა. იმავე ღოკუმენტში ნიკორწმინდის საკუთრების დამრღვევთათვის "ძერს აზმაცაა" დასახელებული. ბუნებრივია, თუ ასეთი პრივიდეგია ჰქონდა ნიკორწმინდას ნაბოძები, სამეფო მამურის ხედშეუვაღობა კიდევ უფრო მკაცრად უნდა ყოფილიყო დაცული და ისიც ჩვენთვის საინტერესო ხანაში.

სამეფო მამურების გამგებელი მამასახედის-ტანუტერები, აბგარმად-განმგები თავისი ფუნქციებით შორს არ უნდა ყოფილიყო იგივე სახედ-წოდების საეკრესიო მოხედებისაგან (ცხადია, ეკრესიის თავისებურებათა გათვაღისწინებით). ამიტომაც, ვფიქრობთ გვაქვს უფრება, გარკვეული მასაღები, საეკრესიო მამურების გამგებელთა შესახებ შემონახული, გამოვიყენოთ ღომენის იგივე მოხედების ფუნქციების წარმოსაჩენად.

ნიშანდობდივია, რომ ნიკორიზ კათაღიკოსის არვანზეგ საბაისძისაღმი ბოძებული "დაწერილის" მიხედვით, კათაღიკოსის ტანუტერი ისეთ მოხედედ ჩანს, რომედსაც ცვიდის გადასახადის შეკრება და მოვდა-პატრონობა ევაღებოდა. ცხადია, მასვე ეხებოდა სხვა საკათაღიკოს "გამოსავაღიც". კათაღიკოსის ტანუტერი სახღობანს იჭადა, ხოდო საბაისძის მამური შეუბანში იყო, აქედან ნათერი ხდება, რომ ტანუტერის შესავაღი გარკვეული ოდენი იყო.

ვფიქრობთ, გვაქვს საუფაველი აღვნიშნოთ, რომ "ტაოსა და კდარჯეთის ტანუტერები", მეფის ღომენის მოხედენი, ამგვარივე საქმიანობას ეწეოდნენ სამეფო მამურებში. კრებძნენ სამეფო ნატურალურ თუ ფუძად გადასახადებს, ხედმძღვანელობას უწევენ შრომითი ბეგარის შესრულებას. მათვე მოვაღეობას შეაღენდა შემოსავდის დაცვა და სათანადო მიზნით გამოყენება-რეარგიზაცია.

გიორგი მთაწმინდის "ქოვრებაჲ იოვანესი და უფომესი" მიხედვით, მონასტრის იკონომოსის (განმგებდის, აბარმაღის) განსაგებებს შეადგენდა "საკმარი": "მოგენი გინა თუ ჩაფინანი, გინა თუ ტყავი გინა საზღები გინა თუ სეღი". მისივე საქმიანობის ასპარეზი იყო: "საპარიკონიმოსო და საწანგრო და საჭორე და სამჭედლო და ხურონი და კადაფატ-ნი და მანძრინნი და ვენაცნი და მენავენი". შეიძება იოქვას, რომ სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა ყველა "იკონომისი", ვისიც არ უნდა ყოფილიყო იგი. სამეფო მამურის გამგებელთა ფუნქციები აღბათ უფრო რთულიც იყო და მრავალფეროვანიც. ნიშანდობდივია, რომ "საკმარი" - "ჩაფინა", "ტყავი" ("მეტყავენი"), "სეღი", "ხედმწიფის კარის გარი-გებაშიც" დაღასტურებულია. უძველია, სამეფო რეზიდენციაში "საკ-

მარს” საგანმგეო უწყება განაგებდა, რის შესახებაც გვქონდა სახელმწიფო უზარი.

აღგიღებზე განდაგებული “საგომების” მოხედეთა სახელწოდებანი და თვით უუნჯულებიც ჩევრად არ შეცვლილა მოგვიანო ხანამიც. ღაღიძგას საკათადიკოსო სასახელმი, XVII საუკუნის პირვედ მეოთხედში კათაღიკოს მაღაქია გურიებს ჰყავდა “სასახის მოხედე და ზედამდები და გამრიგე კაცები”. ძნელი არაა მივიღეთ იმ ღასკვნამდე, რომ “გამრიგე” იგივეა, რაც “განმგენი”, “აბარმაღნი” (ეს ტერმინი XVI საუკუნეშიცაა ღოკუმენტურად ღაღასტურებული).

XVII საუკუნის პირვედი მეოთხედის “საცაიშოს გამოსავდის ღავთარში” ღაღასტურებულია ერთი ტერმინი, რომელიც ერთიანობის ხანას უნდა უკავშირდებოდეს. ღოკუმენტში აღნიშნულია: “რაცა საცაიშო ნავი ზღვაზედა სათევზაოდ გავიღოდეს, თოთს მოედს ნედს თევზს ზუთხსა ცაიშის ოფინატურსა მიაბარებდეს”. “ოფინატური” ღათინურ-ბერძნული ტერმინია და მნეს, მეცუჭნავეს აღნიშნავს. ბუნებრივია, ეს ტერმინი ჩევრად აღრეა შემოსული XVII საუკუნეზე. საფიქრებელია, რომ ამგვარი “ოფინატური” - მეცუჭნავები უცხონი არ უნდა ყოფილიყვნენ ჩვენთვის საინტერესო ხანის სამეფო “საღ-გომებისათვის”.

სამეფო მამუდების განმგებებს აღგიღებზე უეჭველია ჰყავდათ მოხედე პერისანთა შტატი, რომელსაც გაღასახადების, მოგვიანო ტერმინობოგია რომ ვიხმაროთ, “მართებული მოსაკრებების” აკრება ევაღებოდათ.

ღავით ნარინის სიგერში ხეფინისხევედებისა და წაქვეღებისადმი ჩანს “ღვინის მკრეფერნი”, “ჩამომაწუევარნი”, რომებიც საკრავსა და ქათამს “სოხოვენ”. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამავე ხანში უუნჯულებინირებდნენ “ხვარბის მკრეფავნი”, “პურისა და საკრავის მკრებერნი”. რომებიც უფრო მოგვიანო ხანის ღოკუმენტებიდან ჩანან.

გაღასახადის ამკრეფ მოხედეთა ერთ-ერთ ზოგად სახელად “მოსაკარგავე” ჩანს. უკანასკნედ ხანს “მოსაკარგავესა” და “საკარგავს” რამდენკერმე შეეხნენ საგანგებოდ. როგორც სავსებით ღასაბუთებულად ირკვევა, საკარგავი იყო სახელო, იგი ხედწიფესაც შეიძრება ჰქონოდა, ღიღებულსაც, აზნაურსაც და გდებსაც. ეს ტერმინი “მოურავს”, “გამრიგეს” უძრის. გაღასახადის ამკრეფი “მოსაკარგავე”, ზოგჯერ “მოსაკარგავე მაჭირვებდად”, “მაწყინრად” წოდებული, ცხადია, ერთ-ერთი უმდაბელი რანგის “მოსაკარგავეს” წარმოადგენდა. ამგვარი გაღასახადის ამკრეფი მოსაკარგავებები, როგორც აღნიშნული გვქონდა, უნდა ჰყობოდა ერისთავსაც და სწორედ ისინი კრეიდნენ სახელწიფო გაღასახადებს. სამეფო მამუდის “მოსაკარგავებს” კი მეფის, როგორც უეოდაღის, გაღასახადების აკრეფა ევაღებოდათ. მათი ეს უუნჯულია კარგად



ჩანს წყაროებიღან, საჭიროა მხოლოდ საკარო და კერძო გადასაცემო თვეების ამჟრეფი "მოსაკარგავეების" გამიჯვნა.

სამეფო ღომენის მართვაში აქტიურად ერეოდა ცენტრალური აპარატი, რაც კარგად ჩანს "ხედმწიფის კარის გარიგების" ცნობიღან სამეფო ზერების და მისი "მუშაობის" შესახებ.

სამეფო კარს გადაადგიღების ღროს თან ახდენენ "მეუღლენი", ჩვენი აზრით, საგანმგეო უწყების მოხედე-ცერძოსნები, რომელიც "უღუფას", ანუ "როტიქს", რაციონს "წერდნენ", ხოლო ამ უღუფას შემდეგ სხვადასხვა "მკრებედნი" იღებდნენ მოსახლეობისაგან, როგორც ერთდროულ გადასახადს.

სამეფო ღომენი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ამოღებული იყო ერისთავთა იურისდიქციიდან და მასზე სამეფო იმუნიტეტი ვრცელდებოდა. სამწეხაროდ, არ გვაქვს ცნობები, როგორ იყო ორგანიზებული ღომენში სასამართლო სისტემა, რაცი იგი არ ემორჩიდებოდა ერისთავის სასამართლო იურისდიქციას. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს დავით აღმაშენების 1123 წლის ანდერში ნახსენები "საშკულო სამრებლო", რომელიც "რომედ საქონებედნი სოფელი და აგარანტი ჰქონან მღვმესა, ... არს ყოველგან, თვთ მემღვმისა ღიაკონმან მოისამართოს". ე.ი. შიომღვიმის ყველა სოფელში და აგარაში "საშკულო სამრებლო", ანუ სასამართლო დაწესებულება ყოფილა. ცხადია, აქ საუჩარია მონასტრის საიმუნიტეტო სასამართლებრე. ამასთან ნიშანდობივია, რომ "საშკულო სამრებლოს" არსებობას შიომღვიმის სოფელში მეფე თითქოს საგანგებოდ უსვამს ხასს. ეს იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ამგვარი დაწესებულება არ იყო ღირების შექმნიდი.

ვფიქრობთ, "საშკულო სამრებლოები" არსებობდა სამეფო ღომენის ტერიტორიაზეც და ეს სასამართლოები განიხილავდნენ საქმეებს იქ, სადაც სამეფო იმუნიტეტი ვრცელდებოდა. სწორედ "საშკულო სამრებლოების" ჩამოყალიბებაზე უნდა იყოს საუბარი დავითის ისტორიკოსის ცნობაში "მართლად მცნობელი კაცების" დაგენის შესახებ. მოსამართლის ფუნქციებს სამეფო ღომენის "საშკულო სამრებლოებში", საფიქრებელია ასრულებდნენ მისი გამგებელი. ამ ვარაუდის უფლებას გვაძევს ის-ფაქტი, რომ გრიგორ ქართის ერისთავის მამასახლისი სასამართლო ფუნქციებით იყო აღჭურვილი სურამედის კერძო მამუში, ხოლო შიომღვიმის "საშკულო სამრებლოებში" მემღვიმის ღიაკონი მოსამართლებდა. ბუნებრივია, სამეფო ღომენის სასამართლო სრულებით არ იყო დამკიდებული ერისთავის იურისდიქციაზე, მაშინ როდესაც შიომღვიმის იმუნიტეტი შემცირდები ჩანს.

ძაღლები განისაზღვროს, რომელ უწყებაში შედიოდა "სამართადი სამპარავომედიბლო" და მეფის გარდა ჰყავდათ თუ არა ასეთი მოხედვები ერისთავებისაც. შემორჩენიდი წყაროების მიხედვით, "მპარავომედიბედნი" უშუალოდ მეფის ხედისუფლებასთან ჩანან დაკავშირებული, ერისთავთა



შუაღებური რგორის გარეშე. შესაძლოა ეს წყაროთა ნაკადული მისამართი აიხსნებოდეს. საფიქრებებია, რომ ”მპარავომეძიებებებთა” უუნტციები ჰქონდა ერისთავის აპარატსაც და ისინი განსხვავებული ჩაქვემდებარების ტერიტორიებზე მოქმედებდნენ.

ამგვარად გვესახება სამეფო ღომენის მმართველობა დღესდღეობით არსებული მასაღის მიხედვით.

### 3. საქართველო მისამართი

XI-XIII საუკუნეთა საქართველოს ქადაქების მმართველობის შესახებ, სამწესაროდ ძაღლები მწირი ცნობებია შემონახული. არსებული მასაღის საფუძველზე უაღრესად ჭირს მმართველობის სტრუქტურაზე საუბარი. ისიც კი არ ვიყით, გარდა არაზედი წარმოშობის ტერმინ ”ამირისა”, რა ტერმინები იხმარებოდა ქადაქის მმართველის აღსანიშნავად. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ”დიდ საქართველოს მოხარები” და ამ მხრივ ”ქადაქეტი” (“ქადაქის მამაჲ”) მაგრამ ჰერთერობით რაიმე ღასკვნის გამოტანა მასზე დაყრდნობით სახიფათოა.

შევეხოთ თბიღისის მმართველობას. ჰერ კიდევ ჩვენი საუკუნის ღასაწყისში ი. ჰავახიშვილმა მოსაზრება გამოოქვა, რომ XI საუკუნის თბიღისში ”ქადაქის ბერების” სახით საქმე უნდა გვქონოდა საქადაქო თვითმმართველობასთან. ამ საკითხს შემდეგაც შეეხნენ და მკვდევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ თბიღისში კომუნა თუ კომუნისმაგვარი ღაწესებულება უნდა არსებულიყო. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ნაკადული იყო გათვაღისწინებული აღმოსავლური ქადაქების მასაღა, რომელიც სავსებით ხსნის ამ მოვდენის არს და ოვარნათღივ გვიჩვენებს, რომ პქ საქმე გვაქვს არა ღასავდეთვრობული ტიპის კომუნასთან, არამედ აღმოსავლური ქადაქებისათვის ღამახასიათებედ რაისების ინსტიტუტთან, რომელიც არც კომუნად და არც თვითმმართველობად არ შეიძლება ჩაითვაღოს. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ თბიღისი შეერთებამდე ქადაქ-სახელმწიფოს წარმოადგენდა.

როგორი მდგომარეობა შეიქმნა თბიღისის, ღმანისის და სხვა ქადაქების განთავისუფების შემდეგ?

ცხადია, თბიღისსა და საამიროში შემავარ სხვა ქადაქებში განთავისუფების შემდეგაც ძაღლები დიდი იყო აღმოსავლურ ურბანისტურ ტერმინთა გავდენა. ამასთან, უდავოა, რომ ხსენებულ ქადაქებს მართავენ ქართველი მეფის მოხედები.

საქართველოს მეფის მოხედე, თბიღისის მმართველი, შემორჩენილი წყაროების მიხედვით, ღადასტურებულია გიორგი III-ის მეფობის



დასაწყისში. ასეთად ჩანს, მხითარ გოშის მიერ "თბილისის სატრაპიონდებული წოდებული იშხანი ვასაკი, ვაპრამ არწრენის ვაჟი. ორგვეთა ამზობების ძროისათვის თბილისის მმართველად, "ამირმთავრად" ("ამირაპეტად") მოხსენიებულია ამ ვასაკის ძმა ქურდი, რომელიც მაჰკანაბერდის იშხანი იყო.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საქართველოს საქადაქო მმართველობის ნომენკლატურაში არაა დაღასტურებული არც ტერმინი "სატრაპი" და არც "ამირაპეტი". ცხადია, რომ სომხური წყაროები აღნიშნული ტერმინებით ასახავენ ქართულ სამოხედეო ინსტიტუტს. ზუნგბრივია, რომ ამირაპეტი ქურდს იგივე თანამდებობა ეკავა, რაც აღრე მის ძმას, "თბილისის სატრაპი" ვასაკს. "სატრაპი" იგივეა, რაც "ამირაპეტი", ანუ "ამირთა უხეცესი" "ამირმთავარი". საუბარი უნდა იყოს სამეფო ქადაქის, თბილისის "ამირთამირას" სახელობე.

სამწეულაროდ, ზევრს ვერაფერს ვიტყვით ვერც თბილისის და ვერც სხვა სამეფო ქადაქების ამირების კონკრეტულ უნკეციებზე. ცნობილია, რომ მათ ხელი მიუწვდებოდათ ქადაქის ვაჭრობასა და ეკონომიკაზე, წესრიგის დაცვაზე. თბილისი ამირას ქადაქის სანახებზეც პქონდა ადმინისტრაციული უფებები, რაც სრულიად ზუნგბრივია, რადგან იგი იყო "ამირა ქართლისა და ფიგირისა". ასეთივე უფებები, ჩანს პქონდათ ქეთაისის "მეგერგიდეებსა და ამირებს". სავარაუდოა, გვიანდელი ანაბოგიების მიხედვით, ამირების სასამართლო პრეროგატივებიც.

ისტორიოგრაფიაში სათანადოდაა შესწავლიდი გიორგი III-ის 1170 წლის სიგერმი დასახელებული სამოხედეო გადასახადები, რომელიც სათანადო მოხელეების, ამიდის და მუჟთასიბის არსებობას გვავარაუდებინებენ.

ღლესღლეობით შეუძღებელია იმის დადგენა, რა სამოხედეო აპარატი ემორჩიდებოდათ საქართველოს ქადაქების მმართველებს. გარდა ზემოდასახედებული, საკუთრივ თბილისისათვის დამოწმებული თანამდებობის პირებისა. ვერაფერს ვიტყვით ქუთაისის "მეგერგიდეების" კონკრეტულ უნკეციებზე, გარდა იმისა, რომ მათ ადმინისტრაციულ-უისკადური მოვადეობები უნდა ეყისისებოდეთ. კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვით კერძო მფლობელობაში გადაცემულიქადაქების ადმინისტრაციაზე.

საქადაქო ადმინისტრაციის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო "არიფი", რომელიც "ვეფხისტყაოსნის" მიხედვით გვაქვს დამოწმებული.

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საქართველოს ქადაქების მმართველობა, ღაბეჭიოთებით შეიძლება ითქვას, მოღიანად დამოკიდებულია სახელმწიფო ადმინისტრაციაზე და რეგდამენტაციაზე. ჩვენში არ წარმოშობიდა "თავისუფადი ქადაქი" და ამასთან დაკავშირებით არჩევითი მაგისტრატები, როგორც დასავლეთ ევროპაში. ეს იმით აიხსნება, რომ ქადაქის სოციალური სტრუქტურა არ მოწყვეტია აგრძარებ ეკონომიკურ სტრუქტურას, არ პქონია ადგიდი ქადაქისა და სოფლის თვისობრივ



დაპირისპირებას, რაშიც გამოვღინდა ევროპული შუა საუკუნეებისა  
მსოფლიო-ისტორიული არსი. ქადაქი არ დაპირისპირებია ფეოდალურ გარემოს  
ანტიფეოდალური ძაღის სახით. ამაში თავისი როდი შეასრულა საქართველოს  
წამყვანი ქადაქების ეთნიკურმა სიჭრედემაც, რაც დიდად უარყოფით  
ფაქტად უნდა მივიჩნიოთ. ყოველივე ამის გამო ქართულმა  
შუასაუკუნეობრივმა ქადაქმა ვერ მოახერხა აქტიური ზეგავლენა მოეხდინა  
საზოგადოების სოციალურ პროგრესზე.

## გ 0 6 ა ა 6 ს 0

შ ე ს ა ვ ა დ ი . . . . .	3
ვ ი რ ვ ე დ ი თ ა ვ ი . საქართველოს მეცნ . . . . .	5
მ ე თ რ ე თ ა ვ ი . სასახლე . . . . .	16
1. სასახლე-ცენტრალური მმართველობის ორგანო . . . . .	
"დარბაზის ერი" . . . . .	16
2. სასახლის განვითარებები . . . . .	25
საწოლი-საღარო . . . . .	25
სატურჭელე . . . . .	33
საქონიბო-გარადხანა . . . . .	39
საგანმგეო . . . . .	41
სააჭო კარი . . . . .	45
3. უმაღლესი მოხელეები . . . . .	51
მწიგნობართუხუცესი-ჰუცენიდელი . . . . .	52
მანდატურთუხუცესი . . . . .	65
ამირსპასაღარი. ათაბაგი . . . . .	66
მეტარჭელთუხუცესი . . . . .	73
მსახურთუხუცესი . . . . .	74
4. "წესი სახლისა სახედმწიფოსა" . . . . .	75
სახედმწიფო საბჭო . . . . .	75
სასახლის ცერემონიარი . . . . .	80
მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი . "გარეთუდნი მოხელენი" . . . . .	87
1. ერისთავი გა საერისთავო . . . . .	87
2. სამეფო მამულის ადგიღობრივი მმართველობა . . . . .	98
3. საქართველო . . . . .	106

გამომცემდობის რედაქტორი ს. ხ ა ნ ჭ ა ღ ა ძ ე  
მხატვარი გ. ღ ო მ ი ძ ე

გადაეცა წარმოებას 10.01.1991; ხედმოწერილია დასაჩეკედად 9.01. 1991;  
ქაღალდის ზომა  $60 \times 90^{1/16}$ ; ქაღაღდი მფსეტის; ზეჭდვა მფსეტური;  
სააღრიცხვო-საგამომცემო თაბაზი 7.13; პირობითი ნაზეჭედი თაბაზი 7.0;

ფასი 5 მან

ტირაჟი 10 000

შეკვეთა № 53

გამომცემდობა "მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტებოვის ქ. № 19  
საქ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტებოვის ქ. № 19

წიგნი გამოღის ავტორის ხარჯით

რეცეზიენტები: ისტორიის მეცნ. ღოქტორი გ. ა. ფ. რ. ა. ს. ი. ძ. ე  
ისტორიის მეცნ. კანდიდატი მ. ღ. უ. მ. შ. ა. ძ. ე



Антелава Илья Павлович

ГОСУДАРСТВО  
ДАВИДА  
И  
ТАМАР

(на грузинском языке)